

1993

№ 1 1993

ISSN 0132-5965

עיריית



შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

ზნაი გოგილაშვილი

ყოველი პატარა მოუთმენლად ელის დაბადების დღის დადგომას. ასევე, ყოველი ქრისტიანი, ყოველ წელიწადს, დიდი სიხარულით მოელის იესო ქრისტეს შობის დღესასწაულს, რადგან ყოველ ქრისტიანს ამქვეყნად საკუთარ თავზე მეტად უყვარს უფალი ჩვენი და მაცხოვარი ჩვენი — იესო ქრისტე.

იესო ქრისტე იშვა ჰურიასტანის (იუდეის) სამეფოს ქალაქ ბეთლემში, გამოქვაბულში, ან ქვაბში, როგორც წინათ უწოდებდნენ, სადაც უამინდობისა მწყემსებს საქონელი შეჰყავდათ ხოლმე. ამ დროს, ველზე ღამის საყარაულოში მყოფმა მწყემსებმა დაინახეს, რომ ცა არაჩვეულებრივმა სინათლემ განათა, და ამ ნათელში მათ გამოეცხადა უფლის ანგელოზი. ნუ გეშინიათ, — უთხრა მან მწყემსებს, — მე დიდ სიხარულს გაუწყებთ, დღეს იშვა მაცხოვარი, კაცთა მოდგმის მხსნელი, ქრისტე - უფალი. თქვენ ნახავთ მას შეხვეულს და ბაგაში მწოლარეს. წარმოთქვა რა ანგელოზმა ეს სიტყვები, მყისვე შეგროვდა მასთან მრავალი ანგელოზი, ისინი აღიდებდნენ ღმერთს და გალობდნენ: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“.

ეს ამბავი — უფლის დაბადება — ახლად აღმობრწყინებულმა მოკაშკაშე ვარსკვლავმა ამცნო ბრძენ ვარსკვლავთმრიცხველებს — მოგვებს, და ისინი ბეთ-

ლემისაკენ გამოემართნენ, რათა თავყანი ეცათ ყრმა იესოსათვის. ვარსკვლავი, რომელიც წინ უძღვოდა მათ, იმ ადგილას გაჩერდა, სადაც იშვა იესო. მოგვნი შევიდნენ და იხილეს ყრმა იესო დედამისთან — ღვთისმშობელ მარიამთან ერთად, დავარდნენ მუხლებზე და თავყანი სცეს მას, გახსნეს საგანძური და მიართვეს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი (საკმეველი) და მური (ნელსაცხებელი).

იესო ქრისტეს ამქვეყნად მოსვლა ყველა კეთილ ადამიანს გაეხარდა. დღესაც, უამრავი მორწმუნის გულში, ყოველწლიურად იბადება იესო ქრისტე. იგი ყველა გაჭირვებულის შემწეა და ყველა სნეულის მკურნალი, ყველა ობლის მფარველი და ყველა მშვიდობის დამპყრებელი.

იესო ქრისტეს განსაკუთრებით უყვარს ბავშვები, ბავშვებსაც განსაკუთრებით უყვართ იგი. ამიტომ უფალი პატარებს ყოველთვის უსრულებს ხოლმე თხოვნას.

მოდით, ამ დღეს განსაკუთრებით შევევედროთ იესო ქრისტეს — შევევედროთ ყველასათვის: დედა ეკლესიისათვის, საქართველოსათვის, ჩვენი მშობლებისათვის, ჩვენი ახლობლებისათვის, ჩვენი მეგობრებისათვის, ყველა გაჭირვებულისათვის და ჩვენთვის, რომ შევიწარჩუნოთ სიმშვიდე და მოთმინება, რომ დავცემაროთ ერთმანეთს და გვიყვარდეს ერთმანეთი.



მზყაეუსი კეთილი

F-6161

ერმა იშუა ზატარა...
„დიდება მალატა შინა
ღმერთსა“ — გალობდნენ მაშინა.

ზევარდმო თსრობილი,
ქვეუნდა შობილი,
კაცთა მედ მეობილი,
ღმერთად ცნობილი.

ესო ქრისტე სახელად
ემოდა დასაძახელად, —

გამოჩნდა მსხველია,
განათდა ბნელია!
სახმილი ნელია,
აღარა მხელია!

სმა გვესმა ვასახარელი:
მოგვცა მე საეუარელი!

აწ ერნო, ისარეთ,
სიბრძენი ისარეთ,
რაც მოგვცათ, იკარეთ,
ეს ნუ გაიკარეთ.

მედ სიტყვა ღვთისა მოვლინდა;
კაცთა მედ ქვეუნდა ვლიდა:

სნეულთა ულხენდა,
ბრძათა თვალს უხელდა,
მკვდართა აღუდგენდა,
წუალს ღვინოდ უქცევდა...

ღაკით გუარამიშვილი



სიხოლოზ გარათიშვილი

მწუემსო კეთილო, შენს წმიდას სამწესოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!

გულთა - მხილავთ, შენ უწვი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!

მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცნონ შენნი ცხოვარნი,
გვესწრაფე, ჩვენო ხელთ - აღმშრობელო
და აღადგინე დღეს საქართველო!

სამხრეთილოზ
სამხრეთილოზ



ნუნა ძალაგაძე

მხატვარი ელზარ ამოკაძე

ტყეში დიდი ფაციფუცი იყო, ტყის ბინადრები ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდნენ. შერჩევის მშვენიერი წერწება ნადვისხე, თითქოს სავანგებოდ განზე მდგარი, ისე რომ მის ირგვლივ საცეკვაოდ ადგილი საკმაოდ რჩებოდა, და მის მორთვაზე იწყეს ზოვნება. ციყვმა გადაქექა თავისი ფულურო, ერთი ასხმა წაბლი წაიღო და ნადვის ხის ტოტზე ჩამოკიდა. წრუწუნამაც გაიმეტა რამდენიმე ცალი თხილი და ციყვს სთხოვა ქვედა ტოტზე დაჰკიდეთ — იმიედი ჰქონდა, ხეიძის დამთავრების შემდეგ ისევ მიწვდებოდა. წიწკანამ და ბელურამ ნაირგორი კენკრის ნაყოფით დახუნძლული ნიღლი ტოტები მოიტანეს, მწვანე ტოტები დაამშვენეს და გააცეცხლეს მათი სილამაზით. ვერცხლისფერმა მელიამ — ფუმფულა ბუწვით შემოსილმა ნამდვილმა მხეთუნახავემ, უცხო სილამაზის ბუმბულისაგან შეერაული მარაო უძღვნა ნადვის ხეს, ჯერჯერობით მარაო არ მჭირდება, ძალიან ცოვა, ზაფხულისათვის ახალს გავაკეთებო. კურდღელიც მოტუნეულდა თავისი ბაჭიებით და ბოსტნეულით პირამდე სავსე კალთა მოიტანა... კურდღელს ზღარბი მოჰყვა, ლოყაბით დავაშობით და ქარვისფერი მსხლეებით დატვირთული. ო, მისი არმოსვლა ნამდვილად დააკლდებოდა აქაურობას. ირემიც გამოიხნდა, ლალი, ამაყად კისერმოღერებული. ქორბულარქებზე საოცარი სილამაზის წინწკლებიანი სოფი დაემარტინა. ხვეში ეოფა თურმე, წიწკებით და ხმელი ფოთლებით შეფუთულ ადგილას, სადაც ზამთრის სიცივე ვერ მიუღება. ყველაზე ბოლოს დათვი მობაჯბაჯდა, თაფლის ფიჭა წამოედო ნადვის ხის მოსართავად. თათით დაამგრა ფიჭა ნადვის ხეზე და დანარჩენი საჩუქრები კინაღამ ძირს გადამოყარა, დათვის მოუხეშაოხა ხომ საქვეყნოდ ცნობილია, ახლა კი სანახევროდ ძილ — ბურანში იმყოფებოდა, საახალწლოდ სავანგებოდ გამოედგინებინათ ზამთრის ძილისგან და ხერიანად ვერ გამოფხიზლებულიყოს, ამიტომ კიდევ უფრო მოუქნელად ირჯებოდა.

თანდათან შორითო და გადამაზნა ნადვის ხე. მაგრამ ჯერ კიდევ იმდენი რამ უნდა შემატებოდა!..

აი, ყინვამ ძალუმად მოიქნია ჯადოსნური კვერთხი, მთელ ტყეს გადააქსოვა სილამაზი-

თა და სინატივით განთქმული თავისი ნაქარი. საოცარი სახეებით მოუქარვა ტოტები ნადვის ხეს, ფანტასტიკურად ჩაგრებულ — ჩაწული მძივები გააბა ტოტიდან ტოტზე.

მერე მზემ დახედა ყინვის ნაქარებს და მძივებს, ოქროსფერი სხივები ჩააქსოვა მათში, მთელი ნადვის ხე ოქროვანი ნაპერწკლებით გაანათა და გააბრწყინა. როცა მზე თვალს შეფარა, მთვარე გამოიხნდა, მომწვანო, 'ფოსფორული სხივები ჩააწნა ყინვის ნაქარებსა და მძივებში; ვარსკვლავებმა მერთალი ცისფერი სხივები შემატეს ნადვის ტოტებს. სად იყო და სად არა, თეთრი, ფაფუკი ღრუბელი გამოიხნდა, ტყის თავზე ნელა მირონიწებდა. საახალწლო ნადვის ხის დანახვისას კალთა დონივრად შეიბერტყა, თოვლის ფიფქები დააფრქვეა ნაირფერად მორთულ — მოკაზმულ მწვანე ტოტებს.

ახლა კი ნადვის ხეს, როგორც იტყვიან, აღარაფერი აკლდა. ავ თვალს არ დაენახებოდა, ისე გამშვენიერდა. გადაჭარბებული სულაც არ იქნება, თუ გიტყვით რომ ასეთ ლამაზს საახალწლო ნადვის ხეს სხვაგან ვერსად შეხვდებოდით.

ტყის ბინადრები გარს შემოეხენენ ნადვს და აღტაცებულ თვალს ვედარ აშორებდნენ, მისი სილამაზით ტკებოდნენ; თან მოუთმენლად ელოდნენ ახალი წლის მოსვლას, სხვა საქმე აღარაფერი დარჩენოდათ.

— როდის მოვა ახალი წელი? — იკითხა ბაჭიამ. ეტყობა, რაიმე სახუსნავის ჩავენეტა ენქარებოდა.

— მე ხომ გითხარი, ზუსტად თორმეტ საათზე. — ჩაულაპარაკა დედა კურდღელმა და ბაჭიას თავში თათი წაუთაქა, ეს როგორ დაგავიწყდაო.

— კი მაგრამ, საათი რომ არც ერთს არა გვაქვს!.. — თქვა ვერცხლისფერმა მელიამ, — როგორ გავიცგებთ ახალი წლის მოსვლას.

— საათო კაჭკაჭს ექნება ფულუროში შენახული, — თქვა ციყვმა და ღრო აღარ დაუკარგავს, ხტუნვა — ხტუნვით გაქანდა კაჭკაჭისაკენ. დანარჩენებიც, ზოგი ფრენით, ზოგი ხტუნვით თუ სირბილით, ციყვს უკან გამოუდგნენ. ხომ შეიძლებოდა რაიმეში გამოსდგომოდნენ.

კატკაკი ბაიბურშიც არ იყო, თუ რა დღესასწაული შხადღებოდა ტყეში, თავი ფრთის ქვეშ ამოედო და გულის ძილით ეძინა. ციყვმა ძლივს გააღვიძა.

— როცა რაიმეს ნახავ მოსატაცებელს, მაშინ ვერავინ დაგასწრებს, — უსაყვედურა ციყვმა, — საათი გეძნება, საჩქაროდ გვჭირდება...

— საათი რამდენიც გინდა, იმდენი მიქვს, — თქვა კატკაკმა და შვიდიოდე საათი გადმოულაბა.

ტყის ბინადრები სიხარულით ახმურდნენ მართლაც რომ კოჭი აღჩუხე დაუჯდათ — ჯერ სულ არ ჰქონდათ საათი და აგერ უცებ შვილი დაულაგეს წინ. მაგრამ როცა საათებს დახედეს, სიხარული წამში გაუქარწყლდათ: ყველა საათი სხვადასხვა დროს აჩვენებდა.

— რომელია ამათ შორის სწორი? — ჰკითხა ციყვმა.

კატკაკმა პასუხად მხრები აიჩეჩა და თავი ისევ ფრთის ქვეშ შეჰყო დასაძინებლად.



ძილისა

დავწყები, დამეძინება,
ზირჯვარი დამეწრება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი,
სულ თავით დამესვენება.

ჯვარი ძუელოხს ჯვარცმული,
ჯვარი ზატოხანი,
ძუელოხს წმინდა გიორგი,
ვერას ძიხაშს მაცდური.

დაღონდნენ ტყის ბინადრები, იქვე მიუტოვეს კაჭკაჭს თავისი შვიდი საათი და კვლავ ნაძვის ხეს მიაშურეს. ნაძვის ხე ისევ ისე ბრწყინავდა თვალისმოჭრელი სილამაზით, მაგრამ ეს ბრწყინვა აღარავის ახარებდა. თავს ვეღარაფრით ინუგეშებდნენ. მათ აღარ ესტუმრებოდათ ახალი წელი, რადგან საათი არ ჰქონდათ. ახალი წლის დამეს ყველა საათს შეჰყურებს. ზუსტად თორმეტ საათზე თოვლის ბაბუა მოგრიადლება თეთრცხენშებშული ეტლით და ახალი წლის დადგომას ულოცავს დამხედურებს, თან საახალწლო საჩუქრებს ურიგებს. ოღონდ ეს შშენიერი ამბავი იქ ხდება, სადაც საათი აქვთ. უსაათოდ თოვლის ბაბუა არსად არ მიდის.

არაჩვეულებრივად ლამაზი ნაძვის ხის ირგვლივ სინუმემ დაისადგურა. ტყის ბინადრებს თავები ჩაქეინდრათ და ხმას აღარ იღებდნენ. ერთმანეთსაც კი აღარ უყურებდნენ დაღონებულები.

უეცრად ამ სინუმეში ვერცხლის ზანზალაკების წკარუნი შემოიჭრა. ტყის ბინადრებმა ერთმანეთს გადახედეს. წვრილის ხმას ფლოქვების თქარათქური მოჰყვა, და სულ მალე თოვლიან ბილიკზე თოვლის ბაბუა შემოიჭრა თეთრცხენშებშული ეტლით.

ტყის ბინადრებმა პირველად თვალს ვერც კი დაუხურეს.

— როგორ გვესტუმრე, თოვლის ბაბუა, ჩვენ ხომ საათი არა გვაქვს? — ჰკითხეს ერთხმად თოვლის ბაბუას.

— სამაგიეროდ მე მაქვს საათი, — თქვა თოვლის ბაბუამ. — მე თვითონვე ვიცი, თუ სად როდის უნდა მივიდე.

რაკი ეს საკითხი გაირკვა, ტყის ბინადრები დამშვიდდნენ. გაოცებამ სიხარულს დაუთმო ადგილი. თოვლის ბაბუას მობრძანება, ცხადია, ყველას ძალიან გაუხარდა, მით უმეტეს, რომ მან უამრავი საახალწლო საჩუქარი მოიტანა —

ურტბილესი, უგემრიელესი, უძვირფასესი არაჩვეულებრივად ლამაზი ნაძვის ხის ირგვლივ ასევე ლამაზი ზეიმი გაიმართა. ტყის ბინადრები ცვეკვოდნენ, მღეროდნენ, ათასგვარ ოინბაზობას იგონებდნენ, ფერხულს უვლიდნენ ნაძვის ხის გარშემო. თოვლის ბაბუაც მათთან ერთად მზიარულობდა, საგანგებოდ აღნიშნა, ასეთი ლამაზი ნაძვის ხე ჯერ თვალთ არ მინახავსო. თოვლის ბაბუას კი ეს ნამდვილად დაეჯერებოდა. ჯერ არც ერთი საახალწლო ნაძვის ხე არ მორთულა, საკუთარი თვალთ რომ ამ ენახა.

მერე თოვლის ბაბუა ისევ ჩაჯდა თეთრცხენებიან ეტლში.

— დროა დაგტოვოთ, სხვებსაც ხომ უნდა ვესტუმრო, — თქვა მან.

თეთრმა ცხენებმა კამარა შეკრეს, ვერცხლის ზანზალაკები აწკარუნდნენ, და ახალი წელი სხვაგან გაფრინდა.

ახლა კი მთავრ სათქმელს მივადექით. თოვლის ბაბუამ, სანამ ტყის ბინადართა თავრილობას დაემშვიდობებოდა, თავის საათი აწუქა მით, საკუთარი ხელით ჩამოჰკიდა ხის ტოტზე, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ეს საათი მუდამ ზუსტად იმუშავებდა და არასოდეს უმტყუნებდა მათ.

მერე არ იკითხავთ, რა შშენიერი საათი იყო!? სულ ერთიანად ბაჯადლო ოქროსი, ციფრების ადგილას ბრილიანტის თვლები ესვა. ისრები პლატინისა ჰქონდა. კაჭკაჭს სწორედ რომ თვალი დარჩა ზედ, უნდოდა აეწაახნა და თავისი საათებისათვის მიემატებინა, მაგრამ ვერ მიართვეს.

ასე რომ, თოვლის ბაბუას ნაჩუქარი ძვირფასი ოქროს საათი ისევ იქ არის, მწვანე ტყის სიღრმეში, ნაძვის ხის ტოტზე ჩამოკიდებული. თუ ვინმე კარგად მოძებნის, იქნებ იპოვოს კიდევ...

ლაშარის ჯვარისა

დღესამ დღეობა ვისია?
წმიდისა გიორგისია.
ემათად უმატე, გიორგი,
თუ გინდან მოსახელეყნი.

ზუსტად უმატე, გიორგი,
თუ გინდა კოდნი სხვსენი.
ცხვარსად უმატე, გიორგი,
თუ გინდა რქა - ჯანჯიანნი.

საახალწლოდ

პაპა-ფუჰავლა

აბა ვინა ხართ, სადა ხართ,
 გამოიხედეთ გარეთა!
 გილოცავთ ახალსა წელსა,
 იცოცხლეთ, გაიხარეთა,
 ძალად მოკდივარ მეკვლეთა,
 თქვენ ხომ არ დაძიბარეთა:
 სულით და გულით მოძღვნილი
 საღამი ჩაიბარეთა,
 რაც ვუსდმდი აქამოდინსა,
 ამაში გამიბარეთა!..
 უშირველესი საღამი
 ივერის არემარესა, —
 მისს სისხლსა და ხორცს
 — ქართლ - კახეთს
 და იმერეთის მხარესა,
 ბედი და ბედნიერება,
 დღეთამც ნუ ჰნახვენ მწარესა...
 ვუსურვებ დღეგრძელობასა
 სამშობლო მშეს და მივარესა;
 ნუკაშა გვცემენ, გვათობენ
 და გვითენებენ დამესა...
 მერე საღამი მუშათა:
 ცულის და თონის მქნეველთა,



მწუქესთა და ღამის მესრეთა,
 მინდორში ღამის მთეველთა,
 თავის მარჯვენის მადლითა
 მთელის სმელებითს მრჩენელთა.
 შვიგზობართ — ერის წინამძღვართ,
 ქვეყნისთვის კარგის მრჩეველთა:
 რა გვარებებს, რა გვაზარალებს, —
 დღე - მუდამ იმის მკვლეველთა...
 მენამც თავს შემოივველები
 ჩემი სამშობლოს მთა - ველთა!

 ვუსურვებ, რა გავმარჯვოთ
 მშობელის ქვეყნის დედათა!
 ერთს ვურჩევ, თუ დაიჯერეს,
 სარგოსა მეტისმეტადა:
 შეილთა აღზრდასე იუბნონ,
 რა შეივარნენ ერთადა;
 ღამასად შეილის აღმზრდელი
 დედა მიცვნია დემრთადა...
 ერმათა, ჯერ დაუბუშლავთა —
 ერთგულნი ჰგვანდნენ დედასა
 და არ შეუდრენენ ბოლო ეამს
 ბასრის მასვილის კვეთასა,
 როცა-კი მტერი მათ მშობლის
 შეურაცხყოფას ჰმედავსა...
 დიდიმც ექნება სასლვარი
 თქვენთ თვალთ და გულის ზედვასა!..



კოსმოსი ანდა

საბავშვური

საკვლეური ერქვა წინათ საახალწლო მოსაკითხს, რომელიც ხონჩით, ანუ ტაბლით მიჰქონდა მეკვლეს ოჯახისათვის.

რა კარგი იქნებოდა, აღვევადგინა ეს სიტყვა! რა კარგი იქნებოდა ისევ გვეჩონდა შესაძლებლობა, საკადრისი საკვლეურით ვსტუმრებოდით გულდია და სიყვარულით სავსე, უხვ მასპინძელს.

აი, როგორი საკვლეური ეწყო ხოლმე საახალწლო ხონჩაზე: ლოვაწითელი ვაშლები და თეთრად დაშაქრული ჩურჩხელები, მსხა-

ლი და ხმელი ხილი, ტაბლის თავსა და მკვლელოში პურის ფეცილისაგან გამოცხობილი, წითლად დაბრაწული, ღიპიანი, ღონივრეზმური და ჩამიჩის თვალებიანი კაცუნები - ბასილები, და სხვა ნამცხვრებიც - ბედის პურები ოჯახში იღბლის შესატანად, ხარის ქედი - ძალ-ღონის, ამტანობისა და ნაყოფიერების, საწარ-კალამი - წიგნიერების, ნამგალი, მაკრატელი, წიწილ-კრუნი და სხვა ამგვარები ოჯახის სისავსის დასაბედლებლად... იყო ჩვენში სხვა საახალწლო წეს - ადათებიც. მაგალითად, ახალწლის დამეს ბუნარში ახალწლის კუნძი ინთებოდა, ბავშვები ჯოხს ურტყამდნენ და კუნძი რომ ნაპერწკლებს ისროდა, ისინი გაიძახოდნენ: «ამდენი ხარი და კამეჩი, ამდენი ცხვარი და ცხენი, ამდენი კრუს - წიწილი...»

ხონჩა, ტაბლა - მოგძო ხის თეფში, რომელსაც გული ოდნავ ამოღებული აქვს ხილის ან სანთავაის დასაწყობად.

საახალწლო წეს-ადათები

მალა იმარლიოვილი

საახალწლო წეს - ადათები მრავალნაირია ქვეყნად; ყველა ხალხს თავისი ჩვეულება აქვს - ერთიმეორეზე საინტერესო და განუმეორებელი. აი, ჩინელები საახალწლო რიტუალში დიდ მწიშენელობას ანიჭებენ ოჯახის - ცოცხლებისა და მათი გარდაცვლილი წინაპრების ერთიანობას. წინაპართა სულებს გამოიხმობდნენ და მათთან ერთად ხედებოდნენ ახალ წელს. ოთახში კედლებზე მათ პორტრეტებს ჰკიდებდნენ. მათთვის სპეციალურ კერძებს ამზადებდნენ.

ახალი წლის დამდეგს ყველა ოჯახიდან ორი ადამიანი - მამაკაცი და პატარა ბიჭი მიდიოდა სასაფლაოზე, ისინი წინაპართა საფლავებთან კანაფის კონას წვაენდნენ და სთხოვდნენ გარდაცვლილ ოჯახის წევრებს შინ დაბრუნებას; ამის შემდეგ სახლში ბრუნდებოდნენ ანთებული ჩირალდნებით, დამწვარი კანაფის კონას საოჯახო საკურთხეველზე ათავსებდნენ და ხუთი დღის მანძილზე ოჯახის წევრები თავიანთ სცემდნენ

მას. საზეიმო ვაშმის შემდეგ წინაპრებს კვლავ მიაცილებდნენ საფლავამდე. ეს ადათი ოჯახის ერთსულოვნებას და წინაპართა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა. საახალწლო საზეიმო დღეების დასასრულს ჩინეთში «წლის »პირველი ღამის» დღესასწაული იმართებოდა. ეზოებსა და ქუჩებს გაანათებდნენ უამრავი სხვადასხვა ფერისა და სიდიდის ნათურით. ეს ძველისძველი მაგიური რიტუალი ქვეყნად სიცოცხლის მარადიულობას გულისხმობს. ჩინეთში რწმენით ანთებულ ჩირალდნებით, ნათურები და ფარნები ცოცხლებისა და გარდაცვლილების ერთიანობასაც ასახავდა.

კორეაშიც ერთ - ერთი აუცილებელი რიტუალი იყო გარდაცვლილი ახლობლების სახელზე მსხვერპლის შეწირვა. მათთვის სპეციალურად იშლებოდა სუფრა. მხოლოდ წინაპრებისათვის პატივის მიგების შემდეგ იწყებოდა მხიარულება და საახალწლო მილოცვები.

ნაკადული ვარ ჰატარა

ავთანდილ მავრალიშვილი

ნაკადული ვარ ჰატარა,
ვრწყავ ნერგებსა და ჩითილებს,
არავინ დამიზიანოთ,
თორემ საბრალოდ ვიტყვირებ!
მოვდივარ ჩუმი დუღუნით,
სწიოკებს ვაქცევ ბაღადა.
ნერგებს ვსრდი დიდრონ სეებად,
რომ იშრიდონ ლაღადა;
რომ გაუმკლავდნენ კრიგალებს,
იმღერონ სმით საამურით,
დაიცვან ჩვენი მთა - ბარი, —
ჩვენი ლამაზი მამული.
სან ლაღად გამაქვს რავრავი,
სან ჩუმი სვედით მოვდივარ...



რა ვქნა, ეს მეზატყება,
დიდი მდინარე როდი ვარ!
სანამ ვარ, ნერგებს ვეკუთვნი,
მათი გაზრდით მსურს ვიღსინო.
ისედაც კონტა მიდამო,
უფრო ლამაზი ვიხილო.
მოვდივარ მთლად გულანკარა,
დაუოკებელ სურვილით,
ჰატარა, თითო მცენარეთ
მინდა მოვუკლა წყურვილი!
ნაკადული ვარ ჰატარა,
ვრწყავ ნერგებსა და ჩითილებს,
არავინ დამიზიანოთ,
თორემ საბრალოდ ვიტყვირებ!



თაბაჯ ჯოღოგუა

1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გააუქმა ქართული სამეფო ტახტი. ამით ბოლო მოეღო საქართველოს დამოუკიდებლობას და დასაბამი მიეცა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას საქართველოში. ქართველი ერის გადარჩენა უძღვესი და გამოსწორებელი უბედურებისაგან — ერთნულად გადაგვარებისაგან — მხოლოდ მრავალი თაობის თავგანწირულმა ბრძოლამ გახადა შესაძლებელი. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მეთაური იყო დიმიტრი ყიფიანი. მან ფასდაუდებელი ამავე დასლო ქართველთა ერთნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას, განმტკიცებას და განვითარებას. გავევიჭირდება XIX საუკუნის საქართველოში დადასახვლით რამდენადმე მნიშვნელოვანი ერთნული წამოწევა, რომლის ინიციატორი, პირველი ხელმძღვანელი ან აქტიური მონაწილე დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო. ამიტომაც უწოდა მას ილია ჭავჭავაძემ «ჩვენი ხუროთმოძღვარი», ხოლო ექვთიმე თავაიშვილმა «უადრესი პატრიოტი და მეთაური ქართული საქმეებისა».

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობა ხელს უშლიდა რუსეთის ხელისუფლებას ჩვენი ერის გადარსებებაში და ამის გამო იგი 1886 წლის ოქტომბერში ცალაქ სტავროპოლში გადაასახლეს.

ეს ამავე ახე მოხდა:

1886 წლის 24 მაისს თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდდუკი, რომელსაც «ქართველთა სულთამხუთავს» ეძახდნენ, რადგან ის მუდამდღე იმას ცდილობდა, ჩაეკლა მოსწავლეებში ერთნული სული. მოკლულის დაკრძალვაზე საქართველოს ეგზარქოსმა* პავლემ, დასწევვლა არა მარტო მკვლედი, არამედ მოფიდი ქართველი ვითი. ამ უმაგალითო მკრთხელობით განრისხებულმა დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს წერილი გაუგზავნა და მოსთხოვა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საქართველო. ხელისუფლებამ ეს შემთხვევა ხელზე დაიხვია და დიმიტრი ყიფიანი რუსეთში გადაასახლა, ერთი წლის შემდეგ კი, 1887 წლის 24 - 25 ოქტომბრის დამეს, იგი დაქირავებული მკვლელების ხელით მოკლეს.

სიკვდილის წინადღეს დიმიტრი ყიფიანს ერთი სტავროპოლელი ნაცნობისთვის უთქვამს: «ვაითუ მოეკვდე, ჩემი მელები კი აქ დატოვონ და არ დამმარხონ ჩემს საყვარელ მიწა - წყალში». მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ დიდი დაბრკოლებების მიუხედავად, სამშობლოში ჩამოსაყენა მისი ცხედარი და მთაწმინდის წმინდა მიწას მიაბარა, 1899 წლის ოქტომბერში კი, მადლიერებისა და მოწიწების ნიშნად, ძეგლი დაუდგა საფლავზე.

დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადნია მიძღვნილი აკაკი წერეთლის უკვდავი ღელესი — «განთიადი».

* ეგზარქოსი — დამოუკიდებლობას მოკლებული ეკლესიის მღვდელმთავარი.

აკაკი წერეთელი

მხატვარი ზაურ ლინაია

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეპურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს ძაღლით ჰფენს
თვღადებულის საფლავსა.
დაღუძებულა მთაწმინდა,
ისმენს ღუღუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უძღერის
რანდნა, ურჩხა მტრისასა...
მთაწმინდა გულში ისუტებს
საჰვილიძვილო სამარეს,
მამადავითსა აუედრებს,
აბარებს ქვეენის მოყვარეს...
მეთხანი გრმნობამორევიით
თვალს ავლებს არემარესა
და გულის ზასუსს ნარნარად
უძღერის ტურფა მხარესა:
„ცა - ფირუზ, სმელეთ - ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სხეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შექეარეო!..
ვერ ავიტანე ობლობა,
სისსლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავუქჩარეო.
წინ მომეგება დიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკამკამ - მოელვარეო.
გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუუვარეო,
ია და ვარდი დამტყნარი
სელასლად გამინარეო!..
„ცა - ფირუზ, სმელეთ - ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,

შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენსედევე მგლოვიარეო!..
ნურც მკვდარს გაშწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფრეო...
და რომ მოვკვდები, გასსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
„ღელა - შვილობამ, ბევრს არ ვთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა - ფირუზ, სმელეთ - ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“



ჩემო თვალნათელი, ჩემო სანატრელო,
 ოდესმე დიდი ეოფილა საქართველო...
 ეოფილა დავით მეფე აღმაშენებელი,
 ეოფილან ოპიზრები - გასამტერებელი,
 ეოფილა მოდრეკილი, ეოფილა ცურტაველი
 რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...

ბავშვებო, ეს ლექსი ყველას ძალიან გიყვართ, მისი ავტორი, შესანიშნავი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე კი — უწინარეს. მან არაერთი ასეთი მშვენიერი ლექსი დაწერა თქვენთვის: უმღერა ჩვენს საქართველოს, სიკეთეს, სიყვარულს, კაცურკაცობას. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისი «ოცნების ცხრაკლიტულ ქვეყანაში შეგვიყვანა და გვაგრძნობინა რაღაც ტკბილი და საკვირველი, რასაც პოეზიას ვეძახით და რის ბადალსაც სხვა ვერაფერი ვვაგრძნობინებს».

ღისს იქით და ღისს აქეთ საქართველო გიყვარდეს, — გვუბნებათ პოეტი და უპირველესად მამულისათვის თავგანწირვას შთავაგონებთ.

ყოფილციხესთან სისხლისფერი ეუფანოს წვეთი არა დაღვრიღის — დასაღვრელის ალბათ მაცნეა, არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამანინია!

დაუდევარი სული ბო-ბოქრობს მურმან ლებანიძის ლექსებში, და ყველაფრის თავი და თავი,

ყველაფრის გული და ძარღვი სამშობლოა — საქართველო!
 „ღისნი ავხირდები, ჩრდილში გავიდეგები, ჩემთვის ვაჩნაუხებ ფანდურს, სანატრელო, ჭინძი - დავიდეგები, ბევრს არ დავხირდები, უფსუე დავიდეგები,

მურმან

ლებანიძე—70

ჩემო საქართველო!

მურმან ლებანიძე თორმეტი წლისა იყო, ლექსების წერა რომ დაიწყო, ერთი წლის შემდეგ უკვე ჟურნალებს მიუტანა და საბეჭდად პირველი ლექსები, მერე კი მთელი სიცოცხლე ლექსის წერაში გაატარა, ბევრი სათქვენო წიგნიც დაწერა. ჟურნალ «დღის» მკითხველებიც არაერთხელ გაახარა ლამაზი ლექსებით.

გასულ შემოდგომაზე ქართული ლექსის დიდ მოამაგეს 70 წელი შეუსრულდა. მოდით, ბავშვებო, ერთად მივულოცოთ ჩვენს საყვარელ პოეტს დაბადების დღე. ვუსურვოთ დიდნანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა მთელი საქართველოს საკეთილდღეოდ.



იცოცხლე, მე ვილორძინო, იცოცხლე, ვიქცე ბაღდად, იცოცხლე, მე მოგიღისინო, თუ შენ მეყოლე კარგად.“

გაგლა კვაჭანტირაძე

პატარა საქართველო!

ზატარა საქართველო,
 ჰოი, ტებილო მამულო!
 ქვეყანავ სანატრელო!
 ხანჩქერების სმაურო!
 ზვარში ვაზის შრიადო!
 ვეფად შურის ღაღანო!
 მიწავ, ომხინანო!
 ხალხო, სულით მალადო!
 ბუერი შწარე გინახავს,
 მაგრამ ანლა გათენდა,
 და ჰა, ფიცი ისმინე,
 შენ, ზატარა ქართველთა:
 სწავლა! შრომა! გმირობა! —
 აი, ჩვენი ზირობა;
 საქმით დავადანტურებთ
 საქართველოს შვილობას!
 ქედებო და კორდებო,
 მიწავ ვარდებიანო,
 კორტოს - კორტოს ოდებო,
 შვეანე ჭადრებიანო.
 ჭალებო სანატრელო,
 ხანჩქერების სმაურო, —
 ზატარა საქართველო,
 ჰოი, ტებილო მამულო!



შინ დაბრუნებული დეკეული

შალვა მარკოზაშვილი

ცნობილი ქართველი მწერალი შიო არაგვისპირელი წლების განმავლობაში მუშაობდა ბეითლად, მისი თანაშემწე იყო მცხეთელი ახალგაზრდა, პეტო მარტოლეკი, რომელიც გულმოდგინედ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, და შიოც დიდად კმაყოფილი იყო მისი.

შიოს დედა, სოფიო, წილკნელი ჩილინდრიშვილის ქალი იყო, ქვრივობაში გამოწარდა შვილები, მრავალი ჭირ-ვარაში გამოიარა, მაგრამ გულს არ იტეხდა.

შვილი ყურადღებას არ აკლებდა დედას... ერთხელ, ივლისის თვეში, როცა

სოფლებში ყველგან ყანის მკა და კალოზა იყო გაჩაღებული, დუშეთში სამსახურებრივი საქმეებით დატვირთულმა შიომ პეტოს სთხოვა: მოდი, ჩემო პეტო, მცხეთაში შენს საქმეებს რომ მოათავებ, წილკანში გაიარე, დედაჩემსაც მიხედე, ყანის მკაში დაეხმარე, ძროხის გაყიდვა უნდა და შენ გაუყიდეო.

პეტო იმ დღესვე წავიდა მცხეთაში, საქმე მოითავა და მალე შიოს დედასაც ეწვია სოფელში. ერთ დღეს მკაში დაეხმარა, მეორე დღეს კი სოფიომ ძროხა და დეკეული გაატანა ქალაქში გასაყიდად.

პეტომ დეკეული ქალაქში ჩასვლისთანავე გაყიდა, მაგრამ ძროხის გაყიდვა ვერ შეძლო, მყიდველი არავინ აღმოჩნდა, და იძულებული გახდა ისევ უკან წაეყვანა. სოფლისკენ მიმავალ პეტოს დიდმის დუქანთან დეკეულის ხმა შემოესმა, მიიხედა და რას ხედავს, დილით გაყიდული დეკეული ზმულით მოსდევდა ძროხას, ეტყობა, თავის ახალ პატრონს გამოქცეოდა. პეტომ იფიქრა, იქნებ დეკეულის პატრონი აქ ახლოს სადმე იყოსო, აქეთ - იქით იყურებოდა, მაგრამ რაკი მომკითხველი არავინ გამოჩნდა, თანაც უკვე ბინდდებოდა, გზას გაუდგა.

სოფიომ რომ დეკეულის ამბავი გაიგო, თავში ხელი შემოიკრა და აწუწუნდა:

— ვაი, ვაი იმ უბედურს, ვინც შენ ეგ ფული მოგცა, ვინ იცის ამ გატანჯულ წუთისოფელში იმ საწყაღს როგორ უჭირს, იქნებ ცოდ - შვილი მშვიდი ჰყავს, იქნებ ვალიც აიღო და აბა მე როგორ უნდა შემერგოს იმის ფული...

იმ ღამით თითქმის სულ არ სძინებია გულჯავრიან შიოს დედას.

პეტო აღრიანად ადგა, და ბოხტანში გავიდა სამუშაოდ. უნდოდა საქმე მალე მოეთავებინა და დუშეთში წასულიყო. სოფიო მასთან მივიდა და მუდარით უთხრა:

— ჩემო პეტო, ვიცო, უარს არ მეტყვი,

გულკეთილი ყმაწვილი ხარ და...

— რას მიბრძანებ გეთაყვა, მზად ვარ შევასრულო, რასაც მეტყვი.

— იცი, შვილო, შენმა მოტანილმა ფულმა მოხვენება არ მომცა. ჰოდა, მინდა იმ ფულის ნაწილი აქ, სოფელში, ჩვენს ეკლესიაში მღვდელს მიუტანო, რომ ილოცოს იმ ცოდვიშვილის ოჯახისათვის, ნაწილი კი შენ წაიღე მცხეთაში, სვეტიცხოველში სანთლები დაანთე იმ უბედურის ბედზე.

მოულოდნელად ეზოს კიშკარში ცხენოსანი შემოვიდა. ეს შიო იყო, სამსახურის საქმეზე ქალაქს მიმავალს გზად დედასთან შემოველო. დედა - შვილი სიყვარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს. საუზმის დროს შიომ შინდაბრუნებული დეკულის ამბავი გაიგო და ბევრი იცინა.

— სხვისა ფულს ჩვენ ვერ შევირგებთ, ეკლესიაში მინდა მივიტანო! — თქვა სო-

ფიომ გადაწყვეტით.

— დედაჩემო, ეს ფული რომ აქ, ჩვენს სოფელშივე ღარიბ - ღატაკებს მოვანმაროთ, უკეთესი იქნებაო, — ურჩია შიომ.

— ცოტას მაინც წავიღებ ეკლესიაში. — არ იშლიდა მორწმუნე ქალი.

დედა და შვილი შეთანხმდნენ, რომ სამი ან ოთხი მანეთი მიეტანათ ეკლესიაში მღვდლისათვის, დანარჩენი კი გაჭირვებული ოჯახებისათვის მოეხმარებინათ. შიომ სასწრაფოდ ქვრივ - ობლებს სია შეადგინა და დედას გაუწოდა...

მადლობა ღმერთს, ამალამ მშვიდად დამეძინება, — ამბობდა შიოს დედა. როცა მისი შვილი და პეტო თავ - თავიანთ გზაზე გაუჩინარდნენ, ქალმა აიღო შიოს შედგენილი სია და თანასოფლელი გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად ეზოდან გავიდა.

საქართველო

ურმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა; ორნი კაცნი მოდიოდნენ სადაურნი სადმე ვხასა, უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა, ზედ მიადგა, ჩაჭეოდან, ტირს, იხანის ვაგლან - ვასა. ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იუავ მანდა, მომიცდიდე, წავალ თოკთა მოსასხმელად, მწადსო, თუცა ამოგზიდე“ მას ქვეშეთსა გუეცინნეს, გაუკვირდა მეტად კიდე, შემოჰვიღლა: „არ გელოდე, სად გავაქცე, სად წავიდე?“



საქართველოს კუჩქანი ძიულო

წოდარ გუგუშვილი

ადამიანს მუდამ პქონდა და აქვს სურვილი, იყოს ღონიერი, სწრაფი, მოქნილი. ეს თვისებები მას სჭირდება თავის დასაცავად რაიმე რთულ გარემოებაში, ვნებათ, ბრძოლაში. თავდაცვის სერბი და საშუალება ათასგვარი არსებობს, მაგრამ ჩალხს განსაკუთრებით მოსწონს ისეთი სერბები, რომელთა დახმარებითაც ფიზიკურად უფრო სუსტი ადამიანი მასზე ძლიერსა და ღონიერს ამარცხებს.

ამბობენ, ვინც ბოლომდე ჩასწვდება იაპონური ჭიდაობის საიდუმლოებებს, იმას არაფრის არ უნდა ეშინოდესო. ეს მთლად ასე შეიძლება არც იყოს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თავდაცვის იაპონური სისტემების ცოდნით და მათი სწორი გამოყენებით ადამიანს სასწაულების მოხდენა შეუძლია.

ამომავალი შვის ქვეყანაში (ასე უწოდებენ იაპონიას) თავდაცვის ბევრი სისტემა არსებობს: მათგან ზოგი სპორტის სახეობად იქცა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ერთ-ერთი მათგანია ძიულო.

«ძიუ» იაპონურად რბილს ნიშნავს, «დო» კი გზას. ეს არ არის ძიულოს მნიშვნელობის სრული განმარტება. იგი მხოლოდ ამ ჭიდაობის ბუნებაზე მიგვანიშნებს: რბილი მოქმედებაა იღეთის, მოძრაობის, მთელი სისტემის მიზანი (გზა). ევროპელები ძიულოს ელემენტებში რაღაც საიდუმლოს, ზებუნებრივს, იმქვეყნიურს ეძებენ. არადა ძიულო სხვა არაფერია, თუ არა მახვილკონივრული იღეთების ერთობლიობა, და თუმიცა არ გამოირიცხავს ძალის მნიშვნელობას, უპირატესო-

ბას მაინც სერბს ანიჭებენ (გაიხსენეთ ბრძოლ-
ლი ქართული შეგონება: სერბი ხვობია ცრუ-
ნესო...)

ძიულოს ისტორია იწყება უძველეს დროში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX - VI საუკუნეებში. გადმოცემის თანახმად იგი ჩაისახა ან ჩინეთში, ან კორეაში, ან იაპონიაში. აქ მან განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი და გავრცელდა საზოგადოების ყველა ფენაში თანაბრად. ამბობენ, რომ ძიულოს წინაპარია ჯიუ - ჯიციუ - თავდაცვის სისტემა, რომელიც მეტწილად საბრძოლო დარტყმებს და სხვა, სიცოცხლისათვის საშიფათო იღეთებს მოიცავს. გასული საუკუნის მიწურულს ძიულო კანონ: ჯიუ - ჯიციუს საფუძველზე (ოლონდ მას შემდეგ, რაც გამოაცალა მას საბრძოლო ტექნიკა,) შექმნა ძიულო, 1882 წელს კი ტოკიოში დააარსა მისი შემსწავლელი სკოლა (შემდგომში აკადემია) - «კოდოკანი».

ძიულო სწრაფად გავრცელდა ევროპაში, მაგრამ ოფიციალურად იგი მხოლოდ 1964 წელს აღიარეს, როცა XVIII ოლიმპიური



თამაშების პროგრამაში შეიტანეს. ძიუდო მა-
შინვე პოპულარული სპორტი გახდა საქარ-
თველოში და ამას ისტორიულად გამართლე-
ბული ფესვები აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ
ძიუდოსა და ჩვენში ფართოდ გავრცელებული
ქართული ჭიდაობის იღეთები თითქმის ერთ-
ნაირია და ამიტომ საერთაშორისო სარბიელ-
ზე გახვლის პირველივე დღიდან ქართველ-
მა ფალავანებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.
საქართველოს ძიუდოისტებს ოლიმპიურ თა-
მაშებში მიღებული აქვთ 11 მედალი — 3 ოქ-
როსი, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოსი. ოლიმ-
პიური ჩემპიონები არიან: შოთა ჩოჩიშვილი

(1972 წელი), შოთა ხაბარელი (1980 წელი)
და დავით ხახალიშვილი (1992 წელი). ამას
გარდა საქართველოს ფალავნებს მოპოვებუ-
ლი აქვთ მსოფლიო ჩემპიონატების 4 ოქროს,
3 ვერცხლის და 13 ბრინჯაოს, აგრეთვე
ევროპის ჩემპიონატების 20 ოქროს, 25 ვერ-
ცხლისა და 19 ბრინჯაოს მედალი. მსოფლიო
ჩემპიონი ორჯერ იყო თემურ ხუბულური,
თითოჯერ კი ამირან ტოტიკაშვილი და კობა
კურტანიძე. ჩვენი ფალავნების სხვა მედლებ-
სა და წარმატებებზე აღარაფერს ვამბობთ,
ვინაიდან მათი ჩამოთვლა შორს წაგვი-
ყვანდა...

გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონობა
ქადრაკში თორმეტწლიანებს შორის მო-
იპოვა თბილისელმა გიორგი ბახტაძემ.

ყოველ პიქს!

შაძრო საგადაშვილი

ღუისბურგი...
რა შორს მიხვალ!
მიხნის აღმართს
მიდი, აპეე!
გუაოქმევიც:
წირველი ხარ
თბილისელი მოჭადრაკე.
ბრძოლაშია აღმაფრენა,
მიხვალ, ელი მაგარ ბრძოლებს,
გამარჯვების ტეკიცე რწმენა
ქართველურად გაიოლე.
მეტოქესთან ვწადდა კიობა —
ემხნეოდ მაგ შენს თვალებს.
სასვლავანთქმულ ფრანკთან ბრძოლა
გამარჯვებით დამთავრე.
ჩაიფიქრე:

ნატვრავ, ასდი!
მოიკრიფე ახრი, გონი,
ფრთხილი სვლები...
და ჰა, გახდი:
ბრძენი ბავშვი ჩემპიონი.
ეოხალ, ბიჭო, გამძლევე, მთმენო,
დღეს წირველო მსოფლიოში.
დარდინი საქართველო
გახსარე მძიმე დროში.
ნიჭი, ნიჭი ხარ ახვარა,
ვერ ეწუბი წარმაცს, მოცდილს,
მზე - სამშობლო
შვის ტუჩებით,
ვითარც ღვდა, —
გოცნის,
გოცნის!

თამარ კოპანია

მხატვარი **ლალი ლოთიაძე**

ერთი დიდი ქალაქის ძველ უბანში დიდი ხანი არ არის, რაც პატარა იკა ცხოვრობს, იგი ვეფხვერობით მხოლოდ «აღუს» ამბობს და იღიმება. მართალია, ყველაფერი ესმის, მაგრამ უფროსები ამას ვერ ხედედიან. იკა მაშინაც იღიმება, როცა სძინავს და დიდი ბებია თამარი ამ დროს ამბობს ხოლმე, რომ იგი ანგვლოზებს ვითამაშება. ამას წინათ იკა მონათლეს, ძალიან მოეწონა ხატები და ციმცირა სანთლები.

იკას დედა ძალიან გულკეთილი ქალია და შვილს ყოველთვის ძველებურ იავნანას უმღერის. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფრცვლებული ძილისპირული სიმღერები დედიკო მაკამ ერთ სიმღერად შეკრა და იკას ძალიან მოსწონს ეს სიმღერა, ყოველთვის სიხარულით ელოდება ერთიციდან არურუებს, რომლებსაც პატარებისათვის სიყვარულის საუფლოდან თეთრი გუდებით ძილი მოაქვთ ხოლმე. აი, როგორია იკას იავნანა: იას გიკრეფ, ვარდს გიკონავ, იავ, ნანინაო,

სასთუმალქვეშ ამოგიდებ, ვარდო, ნანინაო, ჩემს პატარას ეძინება, იავ, ნანინაო, არურუებს ძილი მოაქვთ, ვარდო, ნანინაო, ძილი მოაქვთ გუდებითო, იავ, ნანინაო, თვალებს ავსებენ ძილითო, ვარდო,

ნანინაო, დემრთს შორჩილად ემსახურე, იავ ნანინაო და საშობლოს მოუარე, ვარდო, ნანინაო, იას გიკრეფ, ვარდს გიკონავ, იავ, ნანინაო, ქრისტე დემრთმა დაგიფაროს, ვარდო, ნანინაო.

თურმე ძველად იცოდნენ, რომ ვარდისა და იის სურნელს სამკურნალო თვისებები ჰქონდა და ამიტომ ბავშვებს იისა და ვარდის კონების სურნელებით სავსე თთახში აძინებდნენ. იკას სასთუმალთანაც დედიკო მაკა ზოგჯერ იის კონებს დგამს ხოლმე პატარა ლარნაკით.



კერკეტი კაკალი, რომელსაც ახლა ვთავაზობთ, არც ისეთი კერკეტია, როგორც თავდაპირველად მოგეჩვენებათ. ჩვენ თვითონ მოგენმარებით მის «გატყენაში». ჯერ ერთი, ავიხსნით რა არის «ზმა».

ზმა არის ან ორი ისეთი მოსაზღვრე სიტყვა ლექსში, რომელთა შეერთებითაც ახალი სიტყვა გამოდის, ანდა ერთ სიტყვაში «ჩასმული» სხვა მნიშვნელობის სიტყვა.

* ახლა იქნება რომ წამკითხავმა საჩქაროდ წამკითხოს და რაზედაც ნათქვამია, ის ზმა, ვერ შეიტყოს; ამისათვის წითელი ხაზები ჩამოიტანება; რაც ხაზსა და ხაზს შუა სიტყვა არის, იმაზედ არის ნათქვამი.



ქვემოთ უნდა წამკითხოსთ ზმიანი შიპირი ღაპით გზარაშიპვილის თაჟული,

და მონახთ ზმური სიტყვები. ამ საქმეში დაგვენმარებათ თვითონ ავტორი, დიდი ქართული პოეტი დავით გურამიშვილი. აი, რა შენიშვნა მიუწერია მას ამ ლექსისათვის:

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი, ჭმუნვა, ვი/შობა/,
 ნუ მოკიშალოს ნადიმი მუღამ - დღეთ სულ მეჯლი/შობა/;
 ლაქარი მოგცეს ურიცხვი, არ ჰქონდეს ანგარი/შობა/,
 მან მოგანმაროს, სად გინდეს, ვინც დღეს ქალწულთგან
 ი/შობა/.

/მოგვნი/ჭა ღმერთმან მე თვისი და იშვა დღეს უშობელი,
 რ/ქვა ბი/ნდის ფერად მცნობელნო, მიცნაით მე
 უცნობელი!
 ა/ბა გა/მინჯეთ ვარსკვლავით, მოგვნთ სცნეს რა
 საცნობელი,
 ში/შობა/ ხელის წერითა განაგდეს გამამჭობელი.

თქვენ ისღა დაგჩინათ, ჩაწვდეთ ამ ზმური სიტყვების აზრს, მიხვდეთ, რის შესახებ არის ლექსი დაწერილი და რა დიდ რელიგიურ მოვლენას ეხმაურება.

მთავარი რედაქტორი **თინათინ ჩალაჭი**

რედაქტორის მოადგილე **შოთა ხოლაშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი **გიორგი ბაგრატიონი**
 განყოფილებები: პროზის (დ. წითაია), პოეზიის (შ. ქალაძე),
 წერილების (მ. კვატარია), მისაღები (მ. გორგაძე).
 უცვლელიური ეურნალი უმცროსკლასელებისათვის,
 საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“
 მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი,
 კოსტავას, 14. ტელეფონები: 93-41-30, 93-10-32.

რედაქტორი **გიორგი როინიშვილი**
 ტექნიკური რედაქტორი **ანდი ვარაძე**

გამოქვეყნდა 1904 წლიდან.

გადაეცა ასაწეობად 20. 01. 93, ხელმოწერილია დასახელებად 01. 04. 93,
 ქალაქის ზომა 60X90/8, ფის. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 30 000,
 შეკვეთა № 121.

ღაბე ნახატ **ზაპრ ღმინაძის**

ჟურნალი „დილა“ — 1993

ძვირფასო ბავშვებო, მშობლებო და აღმზრდელებო!

გაცნობებთ, რომ 1993 წლიდან ჟურნალი «დილა» დამოუკიდებელია, და ხომ იცით, ნებისმიერ დამოუკიდებლობას დასაწყისში მუდამ დიდი სიძნელეებისა და გაჭირვების გადატანა უხდება.

მადლობა ღმერთს, ჟურნალ «დილას» და მის დამატება «აი იას» დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს მთავრობამ, ეროვნულმა ბანკმა, სხვადასხვა ორგანიზაციებმა და... თელავის სარაიონო კულტურის სახლის ბავშვთა შემოქმედებითი ანსამბლის ყმაწვილებმა, რომლებმაც, მართალია, ყველაზე მცირედი გაიღეს, მაგრამ ნურავის ეწყინება, თუ ჟურნალ «დილას» თანამშრომლებს სწორედ ამ მცირედმა მოგვგვარა მადლიერების ცრემლები.

ჩვენ თელაველ ბავშვებს მადლობას მხოლოდ იმით თუ გადავუხდით, რომ მთელი წლით უფასოდ მივართმევთ ჟურნალ «დილის» ნომრებს.

დღეს ჟურნალი «დილა» ახალფენადგმულ, ბორძიკით მიმავალ ჩვილსა ჰგავს და ვინც მას მზრუნველ ხელს შეაშველებს, ღმერთი და ბუნება სიკეთით მიაგებს სანაცვლოს.

ნურავის დაავიწყდება, რომ ჟურნალ «დილას» ჩვენი წინაპრებისა და მშობლების აღზრდაშიც ამაგი მიუძღვის. რომ ჩვენ, ყველანი — დიდ - პატარიანად, «დედა - ენიდან» და ძველი თუ ახალი საყმაწვილო ჟურნალებიდან, მათ შორის «დილიდან» მოვდივართ. ისიც გვახსოვდეს, რომ «დილამ» ჩვენი მომავალი თათბების სულიერ ჩამოყალიბებაშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა, და სწორედ ამიტომ ვალდებული ვართ, ჩვენი «დილა» და «აი ია» უფრო სრულყოფილი, ხატოვანი, მაღალმხატვრული და მშვენიერი გავხადოთ.

КОНТРОЛЬНЫЕ
ОТДЕЛЕНИЕ